



ქართული ფილოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი (სპეციალიზაცია: ქართული ფილოლოგია)

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

საკონტაქტო პირი: ტარიელ ფუტყარაძე. ტელ.: 577 71 78 11

ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე აკადემიური განათლების მიღებას ლიტერატურათმცოდნეობაში, ზოგად ენათმეცნიერებაში, სოციოლინგვისტიკაში, ქართულ ენაში, ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ქართული ფილოლოგიის სხვა მიმართულებებში.

სფეროთი დაინტერესებულ პირებს კარგი შესაძლებლობა ეძლევათ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში ჩაერთონ სავსე პრაქტიკებში ქართველურ დიალექტოლოგიაში (ხევსურეთი, ტაო-კლარჯეთი...). სტუდენტების ინტერესიდან გამომდინარე, მათი პოტენციალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში რეგულარულად იგეგმება და ხორციელდება სტუდენტური სამეცნიერო ღონისძიებები.

ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, სასწავლო კურსებს კიხულობენ ცნობილი სპეციალისტები, რომელთაც აქვთ მდიდარი პედაგოგიური პრაქტიკაც.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი.

პროგრამაში შედის:

- 42 კრედიტის მოცულობის საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები (მათ შორის მაქსიმუმ 30 კრედიტი - უცხო ენა), რომელთა მიზანია სტუდენტისათვის B 2 დონეზე ერთი უცხო ენისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აკადემიური კომუნიკაციის სწავლება;
- 120 კრედიტის მოცულობის სპეციალობის სავალდებულო საგნები, რომლებიც უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიის დარგში ფართო და კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, ანალიტიკურად მოაზროვნე სპეციალისტის მომზადებას;
- სულ მცირე, 18 კრედიტის ფარგლებში სპეციალობის ასარჩევი საგნები, რომლებიც წარმოდგენილია 3 ჯგუფად:

- ✓ სასწავლო კურსები ქართული ენის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართველოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და თარგმანმცოდნეობის მიმართულებებით; ასევე, სასწავლო კურსები, ფილოლოგიის მომიჯნავე სფეროდან, რომელიც სტუდენტს შეიძლება გამოადგეს შრომითი საქმიანობის დროს (სასწავლო კურსების ჩამონათვალი იხ. დანართში);
- ✓ 12-კრედიტიანი უცხო ენები /აფხაზური, სომხური, თურქული, სპარსული, ბერძნული, ლათინური.../ ჯგუფი (იხ. დანართში);
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი (6 კრედიტი).

კერძოდ, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, სპეციალობის არჩევითი საგნების, ასევე, მისთვის საინტერესო მომიჯნავე დარგების სასწავლო კურსებით გაიღრმავოს ცოდნა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული კულტურის, მსოფლიო ლიტერატურის, თარგმანმცოდნეობის, ზოგადი ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკისა და სხვა მიმართულებებით; გარდა ამისა, 12-კრედიტიანი რომელიმე უცხო ენის (აფხაზური, სომხური, თურქული, სპარსული, ბერძნული, ლათინური და სხვ.) არჩევით, სტუდენტს მიეცემა პერსპექტივა, ქართველოლოგიის ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს სწავლის გაგრძელება აფხაზოლოგიის, ან ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-

სპარსული, ქართულ-ბერძნული, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების მიმართულებით. თარგმანმცოდნეობის საგანთა ბლოკი შეთავაზებულია სტუდენტის დასაქმების სფეროს გაფართოებით. ბაკალავრიატის დამამთავრებელ წელს სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 6-კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი, რომელშიც განსხვავებული თვალსაზრისების შეპირისპირების საფუძველზე წარმოდგენილი იქნება ერთი კონკრეტული თემის აკადემიური ანალიზი სამეცნიერო ლიტერატურის სათანადო მითითებით (სხვის ინტელექტუალური შრომის დაცვით).

საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში იმ მიმართულებებით, სადაც წინაპირობად არის ფილოლოგიის ბაკალავრის დიპლომი; კერძოდ: ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიის, ქართველოლოგიის, თარგმანმცოდნეობის, ფოლკლორისტიკის, ზოგადი ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალობებზე; ასევე: ჟურნალისტიკის, ისტორიის, ეთნოლოგიის და სხვა მომიჯნავე დარგების მიმართულებით. ასევე, თუკი არჩევითი სასწავლო კურსებიდან აირჩევს აფხაზურ, სომხურ, სპარსულ, თურქულ, ბერძნულ, ლათინურ... ენას, შეუძლია სწავლა გააგრძელოს ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური, ქართულ-ბერძნული, ქართულ-თურქული... ურთიერთობების მიმართულებით.

კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება ფილოლოგიის დარგის ცოდნა; კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გამომცემლობა, პერიოდული პრესის რედაქცია, ტურიზმი, მასმედია... ასევე, დამხმარე პერსონალის ფუნქციით: უნივერსიტეტში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრში; „მასწავლებლის მომზადების პროგრამის“ გავლის შემთხვევაში კი შეეძლება იმუშავოს სკოლის პედაგოგად (დანართში იხ., პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერვიუები).

1. მიზანი:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო და კომპლექსური საუნივერსიტეტო განათლება ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, გამოუმუშავოს მას ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ბაკალავრის მომზადებაზე, რომელსაც:

- ექნება აკადემიური ცოდნა ქართული სამწიგნობრო ენის, სხვა ქართველური ქვესისტემების, ზოგადად, ქართველთა ენობრივი სამყაროს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ;
- ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით;
- ქართული ზეპირსიტყვიერების განვითარების ისტორიის, ჟანრებისა და ლიტერატურის თეორიის საბაზო საკითხების შესახებ;
- გაცნობიერებული ექნება ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის სპეციფიკა;
- შეეძლება მხატვრული ნაწარმოების კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტირება და კომენტირება, მისი განხილვა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.
- ექნება ფილოლოგიის სფეროში რეფერატული ტიპის კვლევითი პროექტებისათვის აუცილებელი დოკუმენტური მასალებისა და ლიტერატურის მოძიებისა და სისტემატიზების უნარ-ჩვევები;
- შეეძლება გრამატიკული ნორმებისა და სტილის დაცვით წერითი და ზეპირი მეტყველება; ასევე, ერთ უცხო ენაზე (B2 დონეზე) კომუნიკაცია;
- გათავისებული ექნება პროფესიული ეთიკის პრინციპები;
- გაცნობიერებული ექნება ზნეობრივ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ნაირგვარად ვლინდება ქართულ წერილობით კულტურაში, რის შედეგადაც შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

პროგრამის მიზანია, სპეციალისტს გამოუმუშავოს ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომ ის იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე და იღვაწოს როგორც პიროვნული წარმატების მისაღწევად, ასევე, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

2. სწავლის შედეგები

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- I. ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების კრიტიკულად გაანალიზება;
- II. ქართველთა ენობრივი სამყაროს, ქართველოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი საკითხების შესახებ ლოგიკურად მსჯელობა;
- III. ქართული მწერლობის განვითარების ეტაპებზე, შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის კონცეპტუალურ, ჟანრობრივ და მხატვრულ თავისებურებებზე, ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ და თეოლოგიურ საკითხებზე, რუსთველოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობა;
- IV. ქართული ფოლკლორის ჟანრული და მხატვრულ სახეთა სისტემის, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების, იდეურ-მხატვრული და სტილური თავისებურებების გაანალიზება, ინტერპრეტირება და განხილვა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.
- V. ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებზე, ჟანრებზე, ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ძირითად პრობლემატიკაზე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებზე, ბიზანტიური პერიოდის სხვადასხვა ჟანრის ბერძნულენოვანი და ქართულად ნათარგმნი ტექსტების ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით, ტექსტოლოგიურ და სადვთისმეტყველო თავისებურებებზე მსჯელობა;
- VI. საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის საკვანძო საკითხების გაანალიზება;
- VII. ფილოლოგიური ტერმინოლოგიის ადეკვატურად გამოყენების გზით ლიტერატურული და ლინგვისტური მოვლენების აღწერა, განხილვა, კომენტირება და შეფასება;
- VIII. ლიტერატურული და ლინგვისტური წყაროების, ასევე, წყროთმცოდნეობითი დოკუმენტური/დიალექტოლოგიური მასალების მოძიება, დამუშავება და სისტემატიზება.
- IX. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის წარდგენა და სხვებისთვის გაზიარება, ამოცანის შესაბამისი ლექსიკითა და სტილით მეტყველება და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე;
- X. თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა, ოპონირება განსხვავებული თვალსაზრისის პატივისცემის პრინციპთა დაცვით;
- XI. ერთ-ერთ უცხო ენაზე 2 დონეზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
- XII. საკუთარი წვლილის შეტანა მრავალსაუკუნოვან ქართულ სამწიგნობრო კულტურაში გამოვლენილი ზოგადსაკაცობრიო, მოქალაქეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების გავრცელებასა და განვითარებაში.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა	
შუალედური შეფასება - 60 ქულა	დასკვნითი შეფასება - 40 ქულა

შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდები – ლექცია, სემინარი, ელექტრონული სწავლება (ელექტრონული კონსულტაცია, დავალების შემოწმება...), სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა /კონსულტაცია/.

სწავლების აქტივობები (შედეგების მიღწევის მეთოდები): ახსნა–განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია).

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ფორმები: შუალედური შეფასება (ყოველკვირეული დავალებისა და პრეზენტაციის შეფასება; შუალედური გამოცდა...), დასკვნითი გამოცდა. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები: პრეზენტაცია, დისკუსია, ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული წერითი დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

პროგრამა:	1450102	ფილოლოგია	კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სპეციალობა: ფილოლოგია																		
-----------	---------	-----------	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
აკრედიტებული	სწავლების ენა	დაფინანსება	კრედიტების რ-ბა	წლიური გადასახადი	ადგილების რ-ბა	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	სამოქ. განათლება	ხელოვნება	შემოქმ. ტური	პრიორიტეტები
დაახ.	ქართული ენა	ფინანსდება	240	2250	25	2	2	2		6		6							5/7-1-3-2
ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით										5		20							
კომპეტენციის ზღვარი																			
შეზღუდვები																			